სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

19/09/2024

MES 3 24 0001168358

ბრძანება

"შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული მომზადების პროგრამის "სისტემური ადმინისტრირება" (საჩხერე) ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 23 თებერვლის №215832 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის 2024 წლის 18 სექტემბრის N1156629 სამსახურებრივი ბარათის, შპს "ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის" 2024 წლის 18 სექტემბრის N1153132 წერილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება "შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული მომზადების პროგრამის "სისტემური ადმინისტრირება" (საჩხერე) ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 23 თებერვლის №215832 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

ალექსანდრე წულაძე

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01583	სისტემური ადმინისტრირება	პროფესიული მომზადება	მესამე	11	ქართული	40	ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქუჩა N50ა, N52.